პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

 კვირა, 24 დეკემბერი, 1944 წ. № 258 (7211). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

გავაძლიეროთ პარტიულ ორგანიზაციათა დახმარება ტრანსპორტისადმი. „პრავდის“ მოწინავე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მისალმება უზბეკეთის სს რესპუბლიკის 20 წლისთავზე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება უზბეკეთის სს რესპუბლიკის 20 წლისთავზე (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 23 დეკემბრის ოპერატიული ცნობა (1-ლი გვერდი).

უნგრეთის დროებითი ნაციონალური კრების ფორმა (მე-2 გვერდი).

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა. ქართული მუსიკის მესამე კონცერტი; სომხეთის მუსიკის კონცერტების შედეგი; ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით (1-ლი და მე-3 გვერდი).

ტ. თოდრაძე — რატომ ვერ ასრულებს პროდუქტიულობის ზრდის გეგმას სოფელ კოდის კოლმეურნეობის ფერმა (მე-3 გვერდი).

ი. ვიქტოროვი — საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

გავაძლიეროთ პარტიულ ორგანიზაციათა დახმარება ტრანსპორტისადმი

წლევანდელ ზამთარში რკინიგზის ტრანსპორტი სერიოზულ და პასუხსაგებ ამოცანებს სწყვეტს. საქმე მარტო ზამთრის იმ ჩვეულებრივ სიძნელეთა დაძლევას როდი შეეხება, რომელთაც ყინვები და ქარბუქი იწვევს.

საბჭოთა მეომრები ახლა ძლევამოსილად ებრძვიან ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქით, უაბლოვდებიან გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა სასიცოცხლო ცენტრებს. ჩვენი სამხედრო კომუნიკაციები გაგრძელდა. საბჭოთა რკინიგზელების ღირსების საქმეა დაეხმარონ წითელ არმიას, რათა საბოლოოდ გაანადგუროს ფაშისტი მხეცი მის საკუთარ ბუნაგში. ამისათვის როგორც წინათ, ისე ახლაც საჭიროა განუწყვეტლივ მივაწოდოთ ფრონტს ყოველივე ის, რაც მას ესაჭიროება, შევამციროთ ფრონტის ხაზისაკენ სამხედრო მატარებლების გადარბენის დრო, უკეთესად გამოვიყენოთ სამხედრო ტვირთზიდვისათვის განკუთვნილი მოძრავი შემადგენლობა.

„ყველაფერი ფრონტისათვის!“ ამ მოწოდებით არის აღფრთოვანებული მთელი საბჭოთა ხალხი, რომელიც მთელ თავის ძალ-ღონეს მიმართავს ერთი მიზნისაკენ—საძულველი მტრის უსწრაფესი განადგურებისაკენ. რკინიგზელთა საქმიანობა ზურგში აგრეთვე დაქვემდებარებულია ფრონტის ინტერესებისადმი. ზრდადი სამხედრო მრეწველობა დღითიდღე სულ უფრო და უფრო მეტ საჭირველთა და საომარ მასალას იძლევა წითელი არმიისათვის. ამასთანავე იგი მეტ ნედლეულსა და სათბობს მოითხოვს. მაშასადამე, ზურგშიც გართულდა ტრანსპორტის მუშაობის პირობები: გადიდდა სოციალისტური ინდუსტრიის საწარმოთათვის ტვირთზიდვის მოცულობა.

რკინიგზების წინაშე დასახული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი ამოცანა არის სათბობის გადაზიდვის გაძლიერება. მეტი ქვანახშირი დაეტვირთოთ, უფრო სწრაფად გადავზიდოთ ქვანახშირი! სარეწველო წარმოებაში და თვით ტრანსპორტზეც ქვანახშირი ახლა, ზამთრის პირობებში, პირველხარისხოვან როლს ასრულებს, ქარხნებში, ფაბრიკებში, ელექტროსადგურებში მეტი ქვანახშირის მიტანა იმას ნიშნავს, რომ მიიღებთ მეტ ელექტროენერგიას, მეტ ლითონს, მეტ ყუმბარებსა და ზარაზნებს, ტანკებსა და თვითმფრინავებს, მეტ საქონელს მოსახლეობისათვის. ქვანახშირის დატვირთვის გადიდებისათვის ბრძოლა თანაბრად ეკუთვნით ქვანახშირის მუშაკებსაც და რკინიგზელებსაც. ქვანახშირის დატვირთვას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ქვანახშირის დატვირთვის უმნიშვნელოვანეს მაგისტრალზე—ტომსკის გზაზე დღე-ღამის პირველ ნახევარში—საღამოს 6 საათიდან დილის 6 საათამდე—სადღეღამისო გეგმის მხოლოდ 20_25 პროცენტი იტვირთება, ხოლო დღე-ღამის მეორე ნახევარში, ე. ი. დღის საათებზე, გეგმის 75_80 პროცენტი მოდის. ასეთსავე სურათს ვხედავთ ჩრდილო დონეცის, მოსკოვ-დონბასის, სამხრეთ-დონეცის, სამხრეთ ურალისა და ყარაგანდის რკინიგზებზე. ღამით, როგორც წესი, ქვანახშირის სატვირთავი მექანიზმები უმოქმედოდ არიან; მუშაობა ღამის ცვლებს შახტებისა და რკინიგზის სადგურების პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. არ შეიძლება შეეგუონენ ასეთ მდგომარეობას!

ქვანახშირი ერთ-ერთი პირველი რიგის ტვირთია. რკინიგზები მოვალენი არიან შეასრულონ ყველა უმნიშვნელოვანესი ტვირთის ვაგონები მთავრობის დავალებათა შესაბამისად. სათბობი, მადანი, პური, ხე-ტყე, ლითონი და სხვა უმნიშვნელოვანესი ტვირთი დროულად უნდა იქნას მიტანილი დანიშნულების პუნქტებში. ამ ამოცანას რომ თავი გავართვათ, ამისათვის უნდა უზრუნველვყოთ მატარებლების შეუფერხებელი მიმოსვლა, ვიბრძოლოთ საშუალედო სადგურებზე მოცდენის წინააღმდეგ, არ დავუშვათ მარშრუტების დაშლა მიმოსვლის დროს.

მაგრამ არის ფაქტები, როცა დიდმნიშვნელოვანი ტვირთით დატვირთული მატარებლები ჯერ კიდევ ნელა მიდიან. ორენბურგის გზის ორსკის სადგურში 15 დეკემბერს მოვიდა ქვანახშირით დატვირთული ორი მატარებელი, თვითეული მათგანი დაახლოებით 7 საათს იდგა ორთქლმავლის მოლოდინში. მესამე ასეთივე მატარებელმა 14 საათსა და 45 წუთს იარა ორსკის განყოფილების ერთ-ერთ უბანზე. ნაცვლად დადგენილი 4 საათის და 30 წუთისა. სამივე შემთხვევაში გრაფიკი ჩაშალეს ორენბურგის გზის საორთქლმავლო მეურნეობის უპასუხისმგებლო ხელმძღვანელებმა.

უფრესად დიდმნიშვნელოვანი ტვირთის დატვირთვასა და გადაზიდვას განსაკუთრებულ კონტროლს უნდა უწევდნენ პარტიული ორგანიზაციები.

ტრანსპორტის მუშაობის მთავარი მაჩვენებელი ვაგონთა ბრუნვაა. თუ ვაგონები სწრაფად, გრაფიკის მიხედვით ბრუნავენ,—საქმე რკინიგზაზე კარგად მიდის; თუ გრაფიკი დაირღვა, გზა უკვე ცუდად მუშაობს. ხაძთრის ბრიგადა დღეებმა და კვირებმა დაგვანახვეს, რომ ვაგონების ბრუნვის ხაზით სახელმწიფო დავალებათა შესრულება ყველაზე მეტად ფერხდება საორთქლმავლო მეურნეობაში არსებულ ნაკლთა გამო. ისეთი ფაქტები, როგორიც არის გზაში ორთქლმავლათა გაჩერება ორთქლის დასაგროვებლად, გადასარბენებზე მატარებელთა გაბნევა და მიტოვება, მატარებლისათვის ორთქლმავლის არადროულად მიწოდება, პარტიული ორგანიზაციების გასაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. მეორთქლმავლეები თავიანთ ნაკლოვანებებს ორთქლმავლებისათვის გაცეშული სათბობის ცუდი ხარისხით ხსნიან. ამასვე იმეორებს გზების ზოგიერთი ხელმძღვანელიც. ცუდი სათბობის მომიზეზებით სურთ გაამართლონ საკუთარი ნაკლოვანებანი. ლუნინელმა მემანქანეებმა უკვე დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ, როგორიც უნდა იყოს ქვანახშირი, შეიძლება მათ ჰქონდეთ ორთქლმავლის ქვაბისათვის საკმარისი ორთქლი, რათა სწრაფად წაიყვანონ მატარებელი. სულ ამ ცოტა ხნის წინათ ტულელმა მემანქანემ ამხ. კორობკოვმა და მისმა მიმდევრებმა ბრწყინვალედ დაამტკიცეს ეს თავიანთი გამოცდილებით მოსკოვსახლო ოუზის მეკლ ქვანახშირის გამოყენებით.

მეორთქლმავლეთა ნაწილის ჩამორჩენის ნამდვილი მიზეზი ის არის, რომ მათ ცუდად მოამზადეს თავიანთი ორთქლმავლები ზამთრისათვის, ჯეროვნად არ იბრძვიან მეკლ ქვანახშირის ასათვისებლად, არ იყენებენ მოწინაეეთა გამოცდილებას, რომლებმაც ისწავლეს ორთქლმავლების გათბობა ყოველგვარი სათბობით, არ იბრძვიან დაუდეგართა და დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

გუშინწინან კუიბიშევის გზის მეორთქლმავლეებმა მატარებლებს ბევრი ორთქლმავალი დაალეს. ამ გზის მიზეზით გადასარბენებზე დარჩა მატარებელთა ნაწილი. ეს სუსტი დისციპლინის შედეგია. კუიბიშევის საორთქლმავლო დეპოს უფროსი კულიოკინი ვერ სარგებლობს ავტორიტეტით მუშებში, არ ცხადდება სასელეკტორო თათბირებზე, არ ასრულებს ბრძანებებს. კუიბიშევის გზის მუშაკებს კი მოცემული აქვთ ბევრი კარგი დაპირება და მტკიცე სიტყვა. მაგრამ რა ფასი აქვს ამ დაპირებებს?!

მთავრობა და პარტია, პირადად ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რკინიგზის ტრანსპორტს. ამხანაგმა სტალინმა ამოწურავი სისრულითა და სიცხადით განსაზღვრა საბჭოთა რკინიგზის ტრანსპორტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, როცა აღნიშნა, თუ რა უდიდესი პატივი აქვს ეს ამოცანა ბრძოლაში ფაშისტური ავაზაკების დამარცხებისა და ომის ბოლო ეტაპზე. ამ ამოცანის ასრულებაში ბოლშევიკურ ორგანიზაციებს, ბოლოს, ეკისრებათ ამ ამოცანის ასრულებაში ბოლშევიკური

უნგრეთის დროებითი ნაციონალური კრების შექმნა

დებრეცენი, 21 დეკემბერი. (საკადესი). დღეს აქ მუშაობა დაწყო უნგრეთის დროებითმა ნაციონალურმა კრებამ, რომელიც მოიწვია საინიციატივო ჯგუფმა უნგრეთის სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან. დროებითი ნაციონალური კრების მოწვევის ისტორია ასეთია: დეკემბრის დამდეგს დებრეცენში სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების საზოგადო მოღვაწეებმა შეაქმნეს საინიციატივო ჯგუფი ადგილობრივ ბურგომასტრ დოქტორ ვაშარი იშტვანის თავმჯდომარეობით, იმ მიზნით, რომ დემოკრატიულ საფუძველზე შექმნილიყო დროებითი ნაციონალური კრება. საინიციატივო ჯგუფმა მიმართა უნგრელ ხალხს, მოწოდებით აირჩია დელეგატები დროებითს ნაციონალურ კრებაში, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა შექმნა უნგრეთის დროებითი ნაციონალური მთავრობა. ამ მიმართვის საფუძველზე 13-დან 20 დეკემბრამდე უნგრეთის იმ ტერიტორიაზე, რომელიც წითელმა არმიამ გაათავისუფლა, მოხდა დროებითი ნაციონალური კრების დელეგატთა არჩევნები.

ნაციონალური კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 230 დელეგატმა, რომლებიც დემოკრატიულ საფუძველზე აირჩია უნგრეთის იმ ტერიტორიის ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობამ, რომელიც განთავისუფლებულია გერმანელთაგან, და რომლებიც წარმოადგენენ ყველა დემოკრატიულ პარტიას, პროფესიულ კავშირებს, ქალაქებისა და სოფლების თვითმართველობებს, ადგილობრივ ნაციონალურ კომიტეტებს, გლეხთა კავშირებს, სარწმუნო ასოციაციებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

დროებითი ნაციონალური კრება გვიხსნა უნგრეთის ნაციონალური ჰიმნის შესრულებით რეფორმატთა კოლეჯის სადგომში, სადაც 1849 წელს უნგრეთის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადმა კოშუტმა გამოაცხადა უნგრეთის დამოუკიდებლობა. იმ შენობაზე, სადაც კრება მიმდინარეობდა, უნგრეთის ნაციონალური ალმა ფრიალებდა.

პირველი სხდომა გახსნა ნაციონალური კრების მომზადების საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარემ დ-რმა ვაშარმ. ხელმძღვანელ ორგანოებში ასარჩევ კანდიდატურათა განხილვის შემდეგ დროებითი ნაციონალური კრების თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ედენი ბელა, ქალაქ მიშკოლცის იურიდიული აკადემიის პროფესორი, თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულნ არიან დებრეცენის უნივერსიტეტის პროფესორი შანტა კალმანი და რეფორმატთა ეკლესიის თვალსაჩინო მოღვაწე დ-რი იუხასი ნად-შანდორი. კრების თავმჯდომარემ პროფესორმა ედენი ბელამ თავისი მოვალეობის შესრულების დაწყებისას მოკლე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც განაცხადა, რომ დროებითმა ნაციონალურმა კრებამ საფუძველი უნდა ჩაუყაროს ახალი დემოკრატიული უნგრეთის შექმნას. შემდეგ ქალაქ სეგედის დელეგატმა კატოლიკეთა მოვდელმა ბანოგმა შეიტანა წინადადება უნგრელი ხალხისადმი მიმართვის მიღების შესახებ. კრების დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მიმართვის ტექსტის განხილვაში. მათ აღნიშნეს, რომ საჭიროა გაერთიანებულ იქნას უნგრეთის მთელი დემოკრატიული ძალები გერმანელთა და სალაშის მარიონეტული მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, დამოუკიდებელი და დემოკრატიული უნგრეთის შესაქმნელად. კრების დელეგატმა გენერალ-პოლკოვნიკმა მიკლოშ ბელამ თავის სიტყვაში მოუწოდა გერმანელებისა და მათი აგენტების წინააღმდეგ წმიდა განთავისუფლებელი ბრძოლისაკენ. მთელმა რიგმა დელეგატებმა ილაპარაკეს, რომ საჭიროა უნგრეთში ჩატარდეს მიწის რეფორმა უნგრეთის ეკონომიური აღდგენისა და უნგრეთის დემოკრატიის საფუძვლების განმტკიცებისათვის.

დროებითმა ნაციონალურმა კრებამ განიხილა უნგრელი ხალხისადმი მიმართვა, რის შემდეგაც ერთხმად მიიღო იგი ხანგრძლივი ტაშის გრიალში.

ამით დამთავრდა ნაციონალური კრების სხდომა. შემდეგი სხდომა დანიშნულია 22 დეკემბრისათვის.

ქვემით მოგვაყენებ უნგრელი ხალხისადმი მიმართვის ტექსტი, რომელიც კრებამ მიიღო.

დროებითი ნაციონალური კრების მიმართვა უნგრელი ხალხისადმი

1944 წლის 21 დეკემბერს დებრეცენში — უნგრეთის დამოუკიდებლობის იდეათა ძველ ციტადელში — შეიკრიბნენ უნგრელი ხალხის არჩეული წარმომადგენლები, რათა შეაქმნან დროებითი ნაციონალური კრება.

საჭიროა განსაკუთრებული ღონისძიებანი, რათა ვიხსნათ საშინელ საფრთხეში მყოფი ჩვენი სამშობლო, რომელიც სისტემატიურად იცლება ათასობით ბრალოსანის გამო.

ვერ დავუშვებთ, რომ ჩვენი სამშობლო ჩავარდეს იმ უფსკრულში, რომლის პირას ჩვენ მიგვიყვანა ჰიტლერულ გერმანიასთან წყეულმა კავშირმა. ჩვენ ფრა გვსურს, რომ ნაციონალურ ინტერესთა წინააღმდეგ დანაშაულებრივი იმამ, რომელიც, სამწახავანი წელიწადია სწარმოებს, მოისპოს მთელ თეთრთა ნაშროში და დაინგრეს უნგრეთის სახელმწიფოს ათასწლოვანი შენობა.

ვერ დავუშვებთ, რომ გერმანელთა აგენტების, ხალაშის დანაშაულებრივი ბანდის მიერ სამშობლოისათვის საზიზღარი ღალატის გამო უნგრეთი დაღუპვისაკენ მიდიოდეს, ვერ დავუშვებთ, რომ უნგრეთი ალმოჩნდეს ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ბოლო არ მოუღო თავისუფლებისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ წარმოებულ უგუნურსა და თვითმკვლელობის ომს; რომ უნგრელებმა არ შეიტანონ თავიანთი წელილი გერმანელ ყაჩაღთა მისპობის საქმეში, რომლებმაც დაიმონეს უნგრელთა სამშობლო.

უნდა გავწყვიტოთ კავშირი ჰიტლერულ გერმანიასთან.

საჭიროა დროებითი ზეიი შეეკრათ ძლიგამოსილ მოკავშირე სახელმწიფოებთან: საბჭოთა კავშირთან, ინგლისთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

შეუძლებელია განზე ვიდგეთ გულხელდაკრეფილნი, როცა რუსთა არმია მარტო თავისუფლებას გერმანელთა ულისავან ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ნამდვილად მხოლოდ მაშინ მოვიპოვებთ თავისუფლებას, დამოუკიდებლობის უფლებას, როცა თვითონვე მთელი ჩვენი ძალებით ნამდვილად მივიღებთ მონაწილეობას ჩვენს განთავისუფლ[illegible]ში. ეს ერი უნდა დაიარაზმოს გერმანელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ წმიდა განთავისუფლებელი ბრძოლისათვის.

საჭიროა ნანგრევებიდან ხელახლა ავაშენოთ უნგრეთი.

უნგრელი ხალხის უმეტესობის სწორედ ეს ხელს.

მაგრამ დღეს არავინ არის, ვისაც შეეძლოს იმოქმედოს უნგრელი ერის, უნგრეთის სახელმწიფოს სახელით. ჩვენს ქვეყანას არა აქვს პარლამენტი, არა ჰყავს ხელმძღვანელი. სალაში და მისი დამჭაბები უზურპატორები არიან, რომლებიც გერმანელებმა ძალად დასვეს კისერზე უნგრელ ხალხს.

დროებითი ნაციონალური კრება იმისათვის დაარსდა, რომ იყოს ხელისუფლების ორგანო, რომელიც იმოქმედებდა უნგრელი ხალხის, უნგრელი ერის, უნგრეთის სახელმწიფოს სახელით.

დროებითი ნაციონალური კრების დელეგატები ხალხის არჩეულნი არიან. მათ თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებიდან, რომლებიც განთავისუფლებულია გერმანელთა ულ[illegible]ისაგან, რათა იყონ წარმომადგენელნი ქალაქებისა და სოფლების თვითმმართველობებისა, ნაციონალური კომიტეტებისა, რომლებიც ერთიანებენ მთელ პატრიოტულ ძალებს, პროფესიულ კავშირებს, სარწმუნო ასოციაციებსა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. მაშასადამე დემოკრატიულ საფუძველზე თავისუფლად არჩეულ დროებითს ნაციონალურ კრებას უფლება აქვს და მოვალეა ალაპარაკოს მთელი უნგრელი ხალხის სახელით. ჰქმნას რა დროებითს ნაციონალურ კრებას, ბოლოს, უნგრელი ხალხი საკუთარ ხელში იღებს თავისი ბედის გადაწყვეტას

დროებითი ნაციონალური კრება საზეიმოდ აცხადებს, რომ იგი, როგორც ნაციონალური ნებისყოფის გამომხატველი და უნგრეთის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე, საკუთარ ხელში იღებს უხელმძღვანელობად დარჩენილი ქვეყნის საქმეთა მართვა-გამგეობას.

დროებითი ნაციონალური კრება იმისათვის შეიკრიბა, რომ დასახოს გზა, რომელიც გამოგვიყვანს უბედურებიდან, რაც თავს დატყდა ჩვენს ქვეყანას.

ჩვენ შევქმნით დროებითს ნაციონალურ მთავრობას, რათა ყველა იყოს ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელიც, დაემყარება რა ხალხის ნდობას, ენერგიულად შეუდგება ერის წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტას.

ჩვენი მდგომარეობა მძიმეა. მაგრამ ჩვენ მხურვალედ გვწამს, რომ უნგრეთი აღორძინდება. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მოხდება უნგრეთის აღდგენა. ჩვენ გვსურს საფუძველი ჩავუყაროთ მომავალ, ძლიერ, ბედნიერ უნგრეთს. ჩვენ გვსურს დამოუკიდებელ ქვეყნად ვიხილოთ უნგრეთი. ამიტომ ჩვენ საქვეყნოდ ვაცხადებთ განმათავისუფლებელ ბრძოლას გერმანელთა წინააღმდეგ, რომლებმაც წაგვარეთვეს ჩვენი დამოუკიდებლობა, ათობრეს ჩვენი სამშობლო.

ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ ჩვენს ხალხს დაიგეს რაკოში ფერენცის, კოშუტ ლაიოშის დროშეს ქ�, ხელში აიღოს იარაღი და მიჰყვეს 1848 წლის კურუცებისა და გონვედების კვალს. ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლა შეერთვის გერმანელთა ტირანების წინააღმდეგ დემოკრატიულ ხალხების ბრძოლას. ჩვენ ჩამოვაშორებთ გერმანელთა დაქირავებულნ აგენტების სამარცხვინო სახელს, რათა კვლავ გაბედულად გავუსწოროთ თვალი სხვა ხალხებს.

ჩვენ გვსურს ნაციონალური ერთობა. დე თავისი სამშობლოს მოყვარული ყველა უნგრელი გაერთიანდეს გერმანელთა წინააღმდეგ და მათი ხელგარეული დაქირავებული აგენტების — სამშობლოს მოღალატეების წინააღმდეგ. ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება, ჩვენი სამშობლოს ხელახლა აშენება არ შეუძლია არც ერთ პარტიას, არც ერთ საზოგადოებრივ კლასს; ამას შესძლებს მხოლოდ მთელი უნგრელი ხალხის გაერთიანებული ღონისძიება.

ჩვენ გვსურს გვქონდეს დემოკრატიული უნგრეთი. არასოდეს აღარ უნდა განმეორდეს, რომ უნგრელი ხალხის შესახები სკითხები ამ ხალხის ჩაურევლად გადასწყვიტონ იმათ, ვინც ერთი თვიმის სიცოცხლის მანძილზე ორჯერ ჩაგდო ჩვენი ქვეყანა კატასტროფაში. უნგრეთი უნგრელი ხალხის ქვეყანა უნდა იყოს.

ჩვენ მშრომელ მასებს ვაძლევთ თავისუფლების, ფართო პოლიტიკური უფლებების გარანტიას, რათა მათ შეეძლოთ დაიცვან თავიანთი ინტერესები და შეეძლოთ გამოსთქვან თავიანთი ნება-სურვილი იმ საკითხთა გადაწყვეტის დროს, რომლებიც მთელ ჩვენს ქვეყანას შეეხება.

ჩვენ ვიძლევით კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის, როგორც ჩვენი ეკონომიური და საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლის გარანტიას.

ჩვენ გვსურს მიწის რეფორმა. ჩვენ მიწას მივცემთ მრავალი ასეათასობით უმიწაწყლო და ღარიბ გლეხს, რათა ვამრავლოთ უნგრეთის ნაციონალური ძალიერება და საუკუნეებით განვამტკიცოთ უნგრეთის სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილება.

ასეთია ის გზა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხსნისაკენ მივყვებართ. ამ გზას ადგება დროებითი ნაციონალური კრება. ამ გზით უნდა გაჰყვეს მას ყოველი ნამდვილი უნგრელი პატრიოტი.

უნგრელებო! მჭიდროდ დაირაზმეთ ეროვნული ნაციონალური კრების გარშემო, რომელიც ნაციონალურ ნებისყოფას გამოხატავს ოა რომელიც არის უმაღლესი სახელმწიფოებრივი აღმასრულებელი ხელისუფლების კანონიერი მფლობელი. მხარი დაუჭირეთ მას, დაეხმარეთ მას მის მუშაობაში სამშობლოს გადასარჩენად.

უნგრელებო, რომლებიც იმყოფებით ჩვენი ქვეყნის იმ რაიონებში, რომელნიც ჯერ კიდევ დამონებული არიან გერმანელების მიერ! პირობას გაძლევთ თქვენ, რომ განთავისუფლება მოახლოებულია. თქვენი წარმომადგენლები მალე დაიკავებენ თავიანთ ადგილს დროებითს ნაციონალურ კრებაში. დაიჩქარეთ იმ ბედნიერი მომენტის დადგომა, როცა თქვენ შესძლებთ შეუერთდეთ განთავისუფლებულ უნგრელებს. ნუ დაემორჩილებით სალაშის უზურპატორულ მთავრობას.

გონვედებო! თქვენთვის არ არსებობს სხვა ბრძანება, გარდა ერის ბრძანებისა. დროებითი ნაციონალური კრება უნგრელი ერის სახელით ბრძანებს: მიაბრუნეთ იარაღი გერმანელ ჩაგვრელთა წინააღმდეგ, დაეხმარეთ წითელ არმიას — ჩვენს განმათავისუფლებელს, შეუერთდით უნგრეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას, ახალ ნაციონალურ შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ირაზმებიან.

დროებითი ნაციონალური კრების შექმნით იწყება უნგრეთის ისტორიის ახალი თავი. დაიწყო დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული უნგრეთის მშენებლობა.

გეემარჯოს დროებითს ნაციონალურ კრებას!

გეუმარჯოს დროებითს ნაციონალურ მთავრობას!

გეუმარჯოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ უნგრეთს!

სამამულო ომის სახელოვანი მეომარნი

ერონის ინაური

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში" მიმდინარე წლის 20 სექტემბერს კაპიტანი ბ. ბოეენკო სწერდა კომკავშირელი მეომრის ერონის ინაურის ლეგენდარული გმირობის შესახებ. ამჟამად ჩვენს ხელთ არის საფრონტო გაზეთის „სტალინური დროშის" 1944 წლის 24 ოქტომბრის ნომერი, რომლის ერთი გვერდი მთლიანად მიძღვნილია კომკავშირელი მეომრის ერონის ინაურის გმირობისადმი.

ვინ იყო ერონის ინაური?

ერონის ლევანის-ძე ინაური დაიბადა ქ. ბორჯომში 1924 წელს. დაამთავრა 7 კლასი. 1942 წელს გაწვიეს წითელ არმიაში. 1943 წელს იგი პირველად დაიჭრა, ჰქონდა შვებულება. შვებულების ვადის გასვლისათვის არ ულოდნია, კვლავ ფრონტს მიაშურა, სადაც გერმანელ კაციჭამიებს ებრძოდა უკანასკნელ გულის ფეთქვამდე.

სერჟანტი გრიგოლ მაისურაძე, ინაურის ფრონტელი მეგობარი, იმ კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, რომლის წევრი ერონისი იყო, გადმოგვცემს, თუ რა სთქვა კომკავშირელმა ინაურმა უკანასკნელ დღეს კომკავშირის კრებაზე:

„ეს მოხდა მოწინავე ხაზზე, სანგარში. კომკავშირულ კრებაზე ვიხილავდით საკითხს მომავალ დიდ ბრძოლაში ჩვენი მონაწილეობის შესახებ. ამ კრებაზე კომკავშირელმა ინაურმა სთქვა — დღეს ჩვენ, ამხანაგებო, სერიოზულ ბრძოლაში მივდივართ. მე მხოლოდ 20 წლისა ვარ, მე მინდა სიცოცხლე... საქართველოში, ბორჯომში ცხოვრობს ჩემი დედა, ეკატერინე თევდორეს-ასული.

როგორ ვუყვარვარ მე მას!

მე მინდა დღეს გავიმეორო სიტყვები ჭაღარა დედისა, რომლებიც მან ფრონტზე გამოცალებისას მითხრა.

„ერონის, ჩემო საყვარელო! შემომხედე თვალებში და მომისმინე, რას გეუბნები შენი ჭაღარა დედა. ჩვენმა მოდგმამ არ იცის მხდალები, თუ გინდა ჭაღარა დედას ამაგი დამიფასო, კარგი ჯარისკაცი იყავი..." და აი, დღეს მივდივართ ჩვენ დიდ ბრძოლაში, ვიმეორებ, სიცოცხლე მწყურია, მაგრამ ომია... ვინ იცის...

ჩემო საყვარელო მეგობრებო, ერთხა გთხოვთ მხოლოდ, თუ რამე მოხდეს, მიწერეთ ჩემს ძვირფას დედას, უბრალოდ—ისე როგორც შემემთხვეს, მეტს არაფერსა გთხოვთ".

მივიღეთ იერიშზე გადასვლის ბრძანება!

მე ერონისის მხარდამხარ მივდიოდი ბრძოლაში. ანთებული მიდიოდა ერონისი და ამაყად იძახდა—წინ, არწივებო!.. აი ასე, მომყეთ! ჩვენ მივყვებოდით მამაც სერჟანტს.

შეტევის გზაზე დანაღმული გზატკეცილი გადაგვეღობა, გზატკეცილი დაფარული იყო ეკლიანი მავთულღობურებით. შეტევა შეჩერდა. ცეცხლი ძლიერდებოდა. შეუძლებელი გახდა წინსვლა, მაგრამ არც შეტევის ჩაშლა შეიძლებოდა.

აი იგი მიდის სწრაფად — დანაღმული გზატკეცილისაკენ, მთელი ქვეგანაყოფი შესცქერის მამაცს. ინაური, მავთულღობურებთან რომ მივიდა, უცბად აიმართა და შემდეგ მთელი სხეულით დაეცა ნაღმებზე... გვეგონა მხეველობა გვატყუებდა! გაისმა გამაყრუებელი აფეთქება. გზა გაიხსნა! ჩვენ დავიძარით განაღმული გზით. დავიკავეთ მაღლობი, მრავალ გერმანელს მოვესპეთ სიცოცხლე, შური ვიძიეთ ქართველი ჯაჯაკოსათვის, რომლის სახელს არასოდეს არ დავიწყებს ჩვენი ხალხი.

მაღლობზე, რომლის აღებისათვისაც უჭკნობი სახელი მოიხვეჭა კომკავშირელმა ინაურმა, გავიკეთეთ წარწერა: „ჩვენ გვინდა სიცოცხლე! მხოლოთ თუ მოვკვდებით, მოვკვდეთ ისე, როგორც მოკვდა კომკავშირელი ინაური".

შენაერთში, რომელშიც ინაური იბრძოდა, ფრონტული გაზეთის „სტალინური დროშის" რედაქციამ მიიღო ასობით წერილები ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა მხრიდან, ურალიდან, ციმბირიდან, იაროსლავლიდან, როსტოვიდან, თბილისიდან, მოსკოვიდან და სხვ.

ქალქ იეევსკიდან კომკავშირელი ქალაშვილი ანასტასია დობროვოლსკაია იწერება: „ინაური ეკუთვნის სამშობლოსათვის თავდადებულ იმ გმირთა წყებას, რომელთა შორის ეხვდებით ნიკოლოზ ოსტროვსკის, ზოია კოსმოდემიანსკაიას, ალექსანდრე მატროსოვს.

ყოველი ჩვენგანი, სამუდამოდ დაიხსომებს ინაურის უკვდავ სიტყვას და სახელს. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვიყოთ თავდადებული მებრძოლნი ამ სიტყვისათვის, რომელსაც 20 წლის ჭაბუკმა ინაურმა ძვირფასი სიცოცხლე შესწირა".

იაროსლავლის ოლქის გავრილოვკის რაიონის სოფელ ველიკოეს 33-ე საბავშვო სახლის მე-3 ჯგუფის აღსაზრდელი ვიტია შეეცოვი სწერს:

„ვიცი, ჩემო საყვარელო ძმაბო, რომ ინაურმა ჩვენს მომავალს შესწირა თავი. მე მისი სურათი დავხატე და მას შევინახავ სამუდამოდ. გკოცნით მაგრად ყველას და გთხოვთ ბოლომდე მიიყვანოთ ის საქმე, რომლისათვისაც ბრძოლაში გმირულად დაეცა, გმირი ინაური".

ერონისის დედა ეკატერინე თევდორეს-ასული ბორჯომში საბავშვო ბაღში მუშაობს აღმზრდელად.

ეკატერინე მშობლიური მზრუნველობით ზრდის ბავშვებს, რომელთა მომავალს—ველიკოელი პატარა ვიტია შეეცოვის სიტყვით რომ ვთქვათ — ერონის ინაურმა სიცოცხლე შესწირა.

ერონისი აღარასოდეს დაბრუნდება საქართველოში, მშობლიურ ბორჯომში. იგი კარპატების მთებშე წევს. მაგრამ იმ აფეთქების გუგუნი, რომელშიც ერონისი დაიღუპა, კვლავ გაისმის კიდით კიდემდე, როგორც მტერზე შურისძიებისაკენ მოწოდება, როგორც მოწოდება ჩვენი დიდი საქმის გამარჯვებისათვის თავდადებული ბრძოლისაკენ!

სამარადისო დიდება გმირს, რომელიც დაეცა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

ბ. ბელაშვილი

პავლე შარაშენიძე

პავლე ნიკოლოზის-ძე შარაშენიძე დაიბადა 1904 წელს ქ. მახარაძეში. 1932 წელს დამთავრა ზოოკეტერინარული ინსტიტუტი და ინსტიტუტშივე მუშაობდა უფროს მეცნიერ მუშაკად.

სამამულო ომის დაწყებისთანავე პ. შარაშენიძე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. აქ იგი ყველა თავის სპეციალობაზე მუშაობდა. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კავკასიის დაცვის დღეებში. მთიან ადგილებში ძნელი იყო მანქანების გამოყენება და ჯარისათვის საომარი მასალის, იარაღის და სურსათის მიზიდვა უმთავრესად ცხენებით ხდებოდა. ამ მხრივ იმ ნაწილს, სადაც პ. შარაშენიძე იყო, არავითარი დაბრკოლება არ ჰქონია, მას ყველაზე უფრო მოვლილი და ჯანმრთელი ცხენები ჰყავდა.

კავკასიის დაცვის დღეებში, ერთ-ერთი ძალიერი ბრძოლის დროს პავლე შარაშენიძე დაიჭრა. განკურნების შემდეგ იგი კვლავ შეუერთდა თავის ნაწილს, რომელიც უკვე ბელორუსიაში იბრძოდა. თავის მოვალეობას აქაც შესანიშნავად ასრულებდა. ერთ-ერთ წერილში ის სწერდა:

„განაყოფების ცხენების შემოწმება რომ მიმდინარეობდა, ჩემი ქვეგანაყოფი მეორე ადგილზე გამოვიდა. კომისიის წევრები ძალიან გახარებულნ იყვნენ ჩემი ასეთი მიღწევებით. მე მაქებს ჩემი კონსტრუქციის გაჯანმრთელებლ და სამეცნიერო, გადაიღეს მთი სურათი და დაწერილებით გამომკითხეს მათს კონსტრუქციაზე სხვა ქვეგანაყოფებში გამოსაყენებლად".

სამი წლის განმავლობაში იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე გვარდიის საველეტერინარო სამსახურის კაპიტანი პ. შარაშენიძე. გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით.

პავლე შარაშენიძემ ბოლომდე მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. წითელი არმიის ლირსეული მამაცთა სიკვდილით დაეცა. მან საეკეთესო ხსოვნა დასტოვა თავის მებრძოლ ამხანაგებში. ოფიცრები გოიოროკეინი, შეჩნიკოვი, ასკალონოვი, გოვოროვი, კეჩი, ბერეზინი და სხვები სწერენ შარაშენიძის მეუღლეს:

„ჩვენ გადავუხდით სამაგიეროს ფაშისტ დამპყრობლებს მამაცი ოფიცრის პავლე შარაშენიძის სიკვდილისათვის. ჩვენ მივუზღავთ ჯალათებს ყველა იმ ბოროტებისა და ტანჯვისათვის, რაც მათ მიაყენეს ჩვენს საუკეთესო ადამიანებს. დადგა ფაშისტ ავაზაკთა განკითხვის ჟამი!"

ნინო მუსელიძე

მზადება ახალი სამეურნეო წლისათვის

სამკერვალო მრეწველობის ახალი ამოცანები

საქართველოს სამკერვალო მრეწველობის საწარმოებს ახალი სამეურნეო წლისათვის უაღრესად სერიოზული ამოცანები აქვთ დასახული. სამკერვალო ფაბრიკებმა 1945 წლიდან უნდა გააფართოონ სამოქალაქო მოხმარების პროდუქციის ასორტიმენტი, გაშალონ ინდივიდუალური დაკვეთების მიღება და ამავე დროს უზრუნველყონ წითელი არმიისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვება უფრო მეტი რაოდენობით.

1945 წლის ამ უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შესასრულებლად სამკერვალო ფაბრიკების ხელმძღვანელებს, მოუხდებათ მთელ რიგ ახალ საწარმოო-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარება. პირველ ყოვლისა უნდა მივაღწიოთ ქსოვილების მეტ ეკონომიას, ვიდრე წინა წლებში და ამ საფუძველზე გავაფართოოთ სამოქალაქო ასორტიმენტი.

საფაბრიკო ლაბორატორიები დღემდე უმთავრესად ამუშავებდნენ ქსოვილთა ეკონომიის მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს, ახლა ამ ლაბორატორიებს მოუხდებათ გააფართოონ თავიანთი სამოქმედო ასპარეზი: შეუდგნენ ახალი მოდელებისა და ფასონების გამონახვას, მათს განსახორციელებლად საჭირო ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებას და შრომის ორგანიზაციის ახალი გაუმჯობესებული ფორმების დანერგვას.

1945 წლიდან გვინდა შემოვიღოთ კონვეიერით მუშაობა თბილისის მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკაში, რათა მას გავუგდეთ სამწარმოო დავალებათა შესრულება. მოგვიხდება სხვა ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებაც. ჩვენი მიზანია მომავალი სამეურნეო წლის გაზრდილი ამოცანები შევასრულოთ მუშახელის არსებული კადრებით და ამავე დროს ავსცდეთ ზედმეტ საათებში მუშაობის საჭიროებას. პროფესიათა შორის შეჯიბრების მასობრივად გაშლა ყველა აგრეგატზე, სამკერვალო და ფაბრიკაში, ინდივიდუალური სწავლების ფართოდ შემოღება, ახალმოსულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად აგრეგატების გამოყოფა გარკვეულ საათებში, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივი სამეურნეო, პარტიული, პროფესიული მუშაკების გადაუდებელი ამოცანაა.

1945 წელს მაღალკვალიფიციური მკერავებისა და გამომჭრელების მოსამზადებლად თბილისში გაიხსნება 4 წლიანი პროფესიულ-ტექნიკური სკოლა. 1945 წლის ბოლომდე საქართველოს მთავრობის დადგენილებით ამ სკოლისათვის აიგება სპეციალური შენობა საერთო საცხოვრებლით. შემდგომ წლებში სკოლამ უნდა მოამზადოს ძაღალკვალიფიციური მკერავება და გამომჭრელები არა მარტო საქართველოს სამკერვალო მრეწველობისათვის, არამედ მეზობელ რესპუბლიკებში სამუშაოთაც.

კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად 1945 წლიდან ხელახლა გაიხსნება ბათუმის სამკერვალო ფაბრიკასთან არსებული სკოლა.

მომავალი წლიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინდივიდუალურ მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებას. ვფიქრობთ, რომ ჩვენს ფაბრიკებსა და სახელოსნოებში შეკერილი ტანსაცმელი იყოს უახლესი ფასონისა, საუკეთესოდ, გემოვნებით შეკერილი.

ინდივიდუალურ შემკვეთთათვის 1945 წლიდან მოვიწვიეთ საუკეთესო გამომჭრელი სპეციალისტები და მკერავები, რომლებიც დაეკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნილებას. გარდა ამისა, თბილისში უახლოეს ხანში მოვაწყობთ „მოდების ატელიეს", სადაც მიიღებენ დაკვეთებს ინდივიდუალურად. თბილისშივე ჩამოყალიბდება ცენტრალური ლაბორატორია, რომელიც გამოიმუშავებს ახალი ფასონებისა და მოდის მიხედვით სხვადასხვა ტანსაცმლის ნიმუშებს.

1945 წელს დიდი მუშაობა ჩატარდება აგრეთვე ფაბრიკებში არსებულ სატრაფარეტო მეურნეობის გადასახალისებლად. ცენტრალური ლაბორატორია დაამუშავებს ახალ ტრაფარეტებსა და ფორმებს იმისათვის, რომ ფაბრიკებს საშუალება ექნეს მიაღწიონ მეტ ეკონომიას ქსოვილთა გამოჭრისას.

ასეთია საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ამოცანები და პერსპექტივები 1945 სამეურნეო წელს. ამ ამოცანათა წარმატებით შესრულებისათვის უნდა მოვახდინოთ ყველა შესაძლებლობის მობილიზაცია და გამოვიყენოთ მთელი რესურსები. 1945 წლის პირველი დღეებიდანვე უნდა მივაღწიოთ მაღალ ტემპებს, რათა უფრო მეტი რაოდენობით მივცეთ ფრონტსა და ქვეყანას პროდუქცია, დავეხმაროთ გმირ წითელ არმიას მტრის უსწრაფესად განადგურებაში.

ბ. ქართველიშვილი

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამკერვალო მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

დაზგათმშენებლებმა უკეთ უნდა იმუშაონ

ომის წლებში კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხანა ზედიზედ გადაკეთებით ასრულებდა სპეციალურ დავალებათა გეგმებს, უხვად ამარაგებდა გმირ წითელ არმიას თავისი პროდუქციით.

1944 წელს სპეციალური დაკვეთების წარმოებია გარდა, ქარხანას უნდა აეთვისებინა და დიდი რაოდენობით გამოეშვა ახალი სახის დაზგები—„დიპ-300", იმ მიზეზით, რომ 1945 წელს ქარხანა გადასულიყო ალინიშნული დაზგების სერიულ გამოშვებაზე. ამ დაზგის თვისება და მისი სერიულად გამოშვების საქმე დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან. დაზგა—„დიპ-300" უნივერსალურია. მისი სერიული გამოშვება ქარხნისაგან მოითხოვს სპეციალურ მოწყობილობას და ქარხნის ნაწილობრივ რეკონსტრუქციას. ამ დაზგების სერიული გამოშვების მოსაწესრიგებლად საჭიროა აგრეთვე მაღალკვალიფიციურ მუშათა საკმაო რაოდენობის მომზადება.

მიმდინარე 1944 წელს კიროველმა დაზგათმშენებლებმა ეს ამოცანები ვერ გადასწყვიტეს. თუმცა სპეციალისტებისა და სტახანოველთა კოლექტივის თავდადებული მუშაობით წარმატებით იქნა დაძლეული ამ მეტად რთული კონსტრუქციის დაზგის თვისების ტექნიკური მხარეები, მაგრამ დიდი ჩამორჩენაა დაზგის მასობრივად გამოშვებისათვის სხვა საჭირო წინასწარი სამუშაოების შესრულებაში.

1944 წელს ქარხანას უნდა დაემთავრებია ზოგი საამქროს რეკონსტრუქცია სპეციალურ ხელსაწყო-იარაღთა გამოსაშვებად, გათვალისწინებული იყო მუშათა საერთო საცხოვრებლის აგება, რომლის მშენებლობა დიდი ხანია დაწყებული აქვთ და მთელი რიგი სხვა სამუშაოების შესრულება. მაგრამ დღემდე ქარხანას ამ სამუშაოთა პროექტიც არა აქვს შედგენილი. ყოველივე ამის გამო „დიპ-300"-ის გამოშვების გეგმას ქარხანა წელს ვერ ასრულებს.

ამას გარდა, ქარხანაში დამზადებულია დიდძალი დეტალი სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების დაზგებისათვის. მარტო ამ დეტალების დამზადებაზე და საერთოდ დაუმთავრებელი პროდუქციის წარმოებაზე ქარხანას დიდი თანხა აქვს დაბანდებული, რაც ახლა მას მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აყენებს.

**მიმდინარე წელს ქარხანის ცუდად ამარაგებდნენ ნედლეულით. საკმარისია თქვას, რომ კონსტრუქციული ფოლადი მან მხოლოდ ერთი მეთოდის რაოდენობით მიიღო, რომელიც ნაწილობრივ უვარგისიც აღმოჩნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები ე. სობაძე, ბ. კრავეიშვილი, გ. გოგიჩაძე, სახელმწიფო ოპერისა და საქართველოს ანსამბლების გაერთიანებული გუნდი საქართველოს ფილარმონიის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის შ. აზმაიფარაშვილის ხელმძღვანელობით ასრულებენ კომპოზიტორ ი. ტუსკიას ნაწარმოებს „სტალინს“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

სომხეთის მუსიკის კონცერტების შედეგი

(საუბარი სტალინური პრემიის ლაურეატთან, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე ი. ა. შაიორინთან)

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე სომხეთის კომპოზიტორებმა უაღრესად მრავალფეროვანი ყანრებით გვიჩვენეს დიდი სამამულო ომის დროს შექმნილი ნაწარმოებანი.

სომხეთის მუსიკა, რომლის განვითარება აქამდე ოთხმის მხოლოდ ამბოლოდ საოპერო და კამერულ ნაწარმოებთა შექმნის ხაზით მიდიოდა, გამდიდრდა სიმფონიური და ეროკალური შემოქმედების მრავალრიცხოვანი ნიმუშებით.

დეკადაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა თაობათა კომპოზიტორების ნაწარმოებნი, დაწყებული სომხეთის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებლის, რესპუბლიკის სახალხო არტისტ არმენ ტიგრანიანით და დაძთავრებული ახალგაზრდა კომპოზიტორების ბლეადით, რომლებმაც ახლახან დამთავრეს ან ჯერ კიდევ განაგრძობენ თავიანთ მუსიკალურ განათლებას — ალექსანრრე არუთინიანით, ედუარდ მირზოიანით, არნო ბაბაჯანიანით, გაიანე ჩებოტარიანით.

საეკლესიო სიუტა ანუშევან ტერ-ავეტონიანისა, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტორთა უფროს თაობას, პრეტენზიას არ აცხადებს ხერხების სიახლეზე, ხოლო ამკლავნებს ავტორის დიდ პროფესიულ უნარს. სიუტის ფორმის კარგი გრძნობით არის გაკეთებული.

დიდი შთაბეჭდილება დასტოვა სომხეთის ერთ-ერთი ნიჭიერი კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არო სტეპანიანის შემოქმედებამ. არო სტეპანიანი უმთავრესად ლირიკული განხრის კომპოზიტორია. თავის კამერულ ნაწარმოებებში — რომანსებში, ვოოლონჩელის სონატაში — მან გამოამეღავნა ნამდვილი ოსტატობა. კომპოზიტორს აქვს ძლიერი მხატვრული გემოვნება და იყენებს რჩეულ ხერხებს. დეკადაზე შესრულებულ იქნა მისი „სიმფონია“, რომელიც ძირითადად ლირიკული ნაწარმოებია. მასში ოსტატურად არის გამოყენებული ძველი სომხური ხალხური სიმღერები.

გრიგოლ ეგიაზარიანის ნაწარმოებნი ცხადყოფენ მის მნიშვნელოვან შემოქმედებითს ზრდას. ამან ნათელი გამოხატულება ჰპოვა მის სიმფონიურ პოემა „სომხეთში“ და „ვიოლინოსა და ორკესტრისათვის კონცერტის“ პირველ ნაწილში, რომლებიც შესრულებულ იქნენ დეკადაზე.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს მსმენელებზე სომხეთის ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებებმა. გაიანე ჩებოტარიანის საფორტეპიანო სონატა მოწმობს ავტორის დიდ შემოქმედებითს ფანტაზიას, მის მხატვრულ მომწიფებას. იგი აგრეთვე ჩინებული პიანისტია.

არნო ბაბაჯანიანის ფორტეპიანოსა და ორკესტრის კონცერტის პირველი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ სტილის მიხედვით სავსებით დამოუკიდებელი არ არის, იზიდავს მსმენელს მუსიკალური სახეების სიცხადითა და სიტხვით, დიდი მხატვრული ტემპერამენტით.

ბევრ ახალ და საინტერესო მასალას შეიცავს ალექსანდრე არუთინიანის „სიმფონიური ფანტაზია“. კომპოზიტორმა დეკადაზე გვიჩვენა აგრეთვე შესანიშნავი „ცეკვა“, ვიოლონჩელისა და ფორტეპიანოსათვის.

ბატონ ედუარდ მირზოიანის პოემა სიმფონიური ორკესტრისათვის „სამამულო ომის გმირებს“ შეიცავს ბევრ საერთოდ და ღრმა იზრს, შესრულებულს სიმფონიური ფერადების კარგი შეგრძნებით.

მაგრამ ყველა ახალგაზრდა კომპოზიტორს, რომლებმაც გვიჩვენეს თავიანთი ნაწარმოებნი დეკადაზე, ჯერ კიდევ არ ჰყოფნის უნარი — ბეღლობდეს ფორმას. ამიტომ შეშაობა ფორმის დაუფლებისათვის უნდა გახდეს მათი შემდგომი შემოქმედებითი ზრდის მთავარი ამოცანა.

სომხეთის კონცერტების ციკლის დასასრულ დეკადაზე შესრულებულ იქნა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის არამ ხაჩატურიანის შესანიშნავი ნაწარმოები — მეორე სიმფონია. ამ სიმფონიაში სჩანს ტრაგიდიულობის, დრამატიული განვითარების ნიშნები, რომლებიც დაკავშირებული არიან დიდი სამამულო ომის ამბებთან. იგი თავისი ემოციონალური გაჯერებით, სახეების სკულპტურულობით, მხატვრული გულწრფელობით თითქოს ეობეჭდავს ხალხის განცდებს მძიმე გამოცდების წლებში.

სიმფონია შესანიშნავად იქნა შესრულებული ერევნის ლენინის ორდენოსანი ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და სომხეთის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო ფილარმონიის გაერთიანებული სიმფონიური ორკესტრის მიერ სომხეთის სახალხო არტისტ მ. ტავრიზიანის ხელმძღვანელობით.

დეკადამ ცხადყო შემსრულებელთა კულტურის მნიშვნელოვანი მიღწევები. ხალხური სიმღერის სხვა ჩინებულ შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა სომხეთის ფილარმონიის სომხური ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (მხატვრული ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ტ. ალტუნიანი). ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლის, განსაკუთრებით ქალების, შესრულება შეიძლება ჩითვალოს ხელოვნების შეკანონებულ ნიმუშებად.

საუცხოო ოსტატობა და დიდებული ეროკალური მონაცემები გამოამჟღავნეს დეკადაზე სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ტატევიკ სიაზანდარიანმა, ერევნის ოპერის მსახიობმა ლიდია ავეტისიანმა, სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა დავით პოღოსიანმა და სხვებმა.

დეკადაზე წარმატებით გამოვიდა სომხეთის სს რესპუბლიკის კომიტესის სახელობის კვარტეტი — დამსახურებული კოლექტივი, სახეთთა კავშირის ერთერთი საუკეთესო კამერული ანსამბლი.

სომხური მუსიკის კონცერტები წარმოადგენდნენ სომხეთის მუსიკალური კულტურის განუხრელი შემოქმედებითი ზრდის დადასტურებას, სომხეთისა, რომელსაც ჰყავს შესანიშნავი შემოქმედებითი და შემასრულებელი კადრები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებთან გახდება მძლავრი სტიმული საბჭოთა მუსიკალური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

დამსახურებული წარმატება

დეკადის სომხურმა კონცერტებმა, სადაც წარმოდგენილი იყო სომხური ხალხური სიმღერა და ცეკვა, აგრეთვე სიმფონიური და კამერული მუსიკა, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. ის აზრი, რომელიც საფუძვლად ედო სომხური კონცერტების განაწილების გეგმას,— რომ ჯერ ეჩვენებინთ ხალხური მუსიკა, ხოლო შემდეგ ის, რაც ამ ხალხურ საწყისზე შეჰქმნეს სომეხმა კომპოზიტორებმა,—სავსებით სწორია. მართლაც, მომმე სომეხი ხალხის მუსიკალური ფოლკლორი ღირსია ყოველგვარი ყურადღებისა. განსაკუთრებით კარგია ხალხური ცეკვები, რომლებსაც შეიძლება დაუსრულებლივ უცქიროს კაცმა. რამდენი სილამაზე და გრაციოზულობაა ამ ცეკვებში!

ჩვენთვის, სომხური ენის არმცოდნეთათვის, პირველ კონცერტზეევე ნათელი გახდა, თუ რა ძვირფასი საუნჯეა ხალხური შემოქმედება სომეხი კომპოზიტორების ხელში ახალ მუსიკალურ ნაწარმოებთა შექმნისათვის. ეჰვი არ გვეპარება, რომ ისინი ბრწყინვალედ დაეუფლნენ ხალხის მიერ შექმნილ ამ თვალმარგალიტს.

სომხური ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ტ. ალტუნიანის ხელმძღვანელობით უყურადღებს იპყრობდ მხატვრული დისციპლინით, მოშაობის სიზუსტით, პროფესიული ოსტატობით. ყველაფერში სჩანს მხატვრული ხელმძღვანელობის კულტურა. ანსამბლისა ხელოვნება მკაფიო და მიზნიდველია. ასითი ხელოვნების შექმნა შეეძლო მხოლოდ თავაზეფლებისშოყვარე, მამაც ხალხს.

სომხური მუსიკის კონცერტების წარმატება ცოცხალი გამოხატულებაა ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებისა.

ჩვენ მადლობელი ვართ ნიჭიერი სომეხი ოპერეტიტელებისა, რომ მათ გვიჩვენეს სომხური მუსიკალური შემოქმედება მთელი თავისი სილამაზით, გულითადად მიეგებოდეთ ჩვენს ძვირფას სტუმრებს საკუთარ დამსახურებულ გამარჯვებებს და ვუსურვებ მათ ახალ წარმატებანი თავიანთ კეთილშობილურ საქმიანობაში.

პ. ამირანაშვილი
რესპუბლიკის სახალხო არტისტი

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

(საუბარი სსრ კავშირის სახალხო არტისტ კომპოზიტორ უზეირ ჰაჯიბეკოვთან)

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მუსიკალურ ფრონტს; ეს გარეშეობა ძლიერ სტიმულს აძლევს შემოქმედებითს მუშაკებს უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ თავიანთი ოსტატობა.

ხალხური მუსიკის შესწავლისა და გამოყენების საფუძველზე შესაძლებელი გახდა შეგვექმნა დიდი ფორმის ნაწარმოებნი — ოპერები, სიმფონიები, ორატორიები. მეორე მხრივ, ასეთი ნაწარმოებების შექმნა ცხადყოფს საბჭოთა კომპოზიტორების მრავალრიცხოვანი კადრის ტექნიკურ ოსტატობას.

საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებნი ასახავენ ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ხალხის პატრიოტიზმს, თავისი მშობლიური წიოელი არმიისადმი, თავისი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინისადმი ერთგულებასა და ულრმეს სიყვარულს, მტრისადმი უსაზღვრო სიძულვილს. მთელ ამ განცდებს თვითეული ჩვენი კომპოზიტორი გამოსთქვამს თავისი განსაკუთრებული მუსიკალური მეტყველებით. ეს განსაკუთრებული მეტყველება ნაციონალურ ელფერს ატარებს.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადის მიმდინარეობამ ნათლად დაგვახვა, რომ ჩვენი კომპოზიტორები ცდილობენ გასაგები და ახლობელი იყვნენ მასებისათვის. ამაშია მათი წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დეკადაზე წარმოდგენილი ცნობილ კომპოზიტორი არამ ხაჩატურიანის სიმფონია, რომელიც თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს საბჭოთა მუსიკალური შემოქმედების ოქროს ფონდში. ასევე წარმატება ნაწარმოება გრიგორ კალანძის სიმფონია, რომელშიც ორიგინალური მუსიკალური ენით მკაფიოდ არის გამოხატული გრძნობების სისავსე, მგზნებარე შემოქმედებითი პათოსი. ჩვენ ბევრი დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვეს შალვა მშველიძის, არო სტეპანიანის, ალ. მანკოიარიანის და სხვათა ნაწარმოებებმა, რომელიც საბჭოთა თაობის ნიჭიერი კადრების შემოქმედების ღირსეულმა ნიმუშებმა.

ყველა ეს მიღწევა შესაძლებელი გახდა ლენინურ-სტალინური ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის შედეგად, ეს პოლიტიკა უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს ხალხის წიაღიდან გამოსული ძალების შემოქმედებითი ზრდისა და გაფურჩქვნისათვის. ეს ერთხელ კიდევ დასტურდება დეკადაზე წარმოდგენილი სრულიად ახალგაზრდა კომპოზიტორების ნაწარმოებებით. მათ შორის უნდა აღინიშნოს: შ. თაქთაქიშვილი, არუთინიანი და სხვები, რომლებმაც ნათლად გამოავლინეს თავიანთი ნიჭი დიდი ფორმის ნაწარმოებთა შექმნისა.

პირადად მე ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადაზე წარმოდგენი სამამულო ომის პერიოდში შექმნილი ეოკალური ნაწარმოებებით. მათ შორის დავასახელებ „ვაზელს“, რომელიც დაწერილია დიდი პოეტის ნიზამის სიტყვიერი მასალის მიხედვით. „ვაზელი“ ახალი მუსიკალური ფორმაა, რომლის პროტოტიპს ევროპული რომანსის ფორმა წარმოადგენს.

სამამულო ომის პერიოდში შექმენი აგრეთვე ბატალური მუსიკის ახალი ფორმა ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრისათვის, სადაც უსათუოდ უნდა იდგეს მონაწილეობას ზურნა. ამ ფორმას „ჯანგი“ ეწოდება. მის ნაირსახეობას წარმოადგენს „გაჩრამანი“. ამ დარგში აღსანიშნავია რუსტამოვისა და მამედბეგის მუსიკალური ნაწარმოებნი.

დეკადაზე წარმოდგენილი იქნება ახალგაზრდა აზერბაიჯანელი კომპოზიტორებისა—ყარაყარაევის, სულთან ჰაჯიბეკოვის, ჯეგეტდ ჰაჯიევის, ნიაზისა და სხვების სიმფონიური ნაწარმოებნი. როგორც შემსრულებელნი მონაწილეობას მიიღებენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბიულ-ბიული, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სახალხო არტისტები ავალ ბაბაბეკოვი, რახაეტა, ხან-შუშინსკი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები აღლეროვი, ბუნიატ-ზადე, მუსტაფიევი, რიზაევი, მომღერლები რახიმოვა, კადიმოვა, შუშინსკაია. გამოელენენ აგრეთვე სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ხალხური ინსტრუმენტების ანსამბლი, ხაზისტების ანსამბლი და აშუღები.

ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა არის ხალხთა სტალინური მეგობრობის ბრწყინვალე დემონსტრაცია. იგი გახდება ჩვენი შემდგომი შემოქმედებითი ზრდისა და განვითარების მძლავრი ბერკეტი.

რაზომ ვერ ასრულებს პროდუქციულობის ზრდის გეგმას სოფელ კოდის კოლმეურნეობის ფერმა

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ კოდის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობა მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის. სულ ხუთიოდე წლის წინათ აქ ფერმაში მხოლოდ 7 ძროხა იყო, ახლა კი არის 60 ძროხა, 43 ხბო, 17 დეკეული, 35 მოზვერი. გამოზრდილია აგრეთვე 120-მდე ხარი. მარტო უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ძროხის წველადობა თითქმის სამმაგად გაიზარდა — 1942 წელს საშუალოდ თვითეულმა ძროხამ 242 ლიტრი მოიწველა, 1943 წელს — 413, ხოლო წელს — 615 ლიტრამდე. გაუმჯობესდა ჯიშიანობაც. შეძენილია შვიცის ჯიშის 2 ბუღა, 2 ბუღა კი (შვიცისა და ადგილობრივი უჯიშო ძროხის მეტისი) თვით ამ კოლმეურნეობაში არის გამოყვანილი. მიხეთე წელია ფერმაში ნამატს მხოლოდ ჯიშიანი მწარმოებელს საშუალებით იღებენ.

პირუტყვი უზრუნველყოფილია უხვში და კონცენტრირებული საკვებით, გეგმით გათვალისწინებული 100 ტონის ნაცვლად კოლმეურნეობას დაგროვილი აქვს 500 ტონა ბზე და თივა, 150 ტონის ნაცვლად — 455 ტონა სილოსი, 3 ტონის ნაცვლად — 15 ტონა საქონლის ბარალი, 12 ტონის ნაცვლად — 22 ტონა კოპტონი.

მარტო წელს კოლმეურნეობაში, გარდა სხვა ფერმისაგანისა, მიღებულია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების რძე. მერძევეობის საქონელი ფერმა ყოველწლიურად აძლევს ფრონტს, ქვეყანას 25-30 ტონამდე რძეს და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს, 50-60 სულამდე ნამატს.

ფერმა გაცილებით მეტი მიღწევები ექნებოდა, რომ ყველაფერი იყოს მოგვარებული, რომ კოლმეურნეობა ყველა შესაძლებლობას იყენებდეს, მაგრამ ეს ასე არ არის.

უზრუნველყოფილია საკმარისი თივილი, სუფთა და ნათელი საადგომით

მერძეული საქონლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შესაფერი საფეიქროს მოწყობას, ბინა უნდა იყოს მშრალი, ნათელი და სუფთა. თვითეული სული მოზრდილი საქონლისათვის საჭიროა სულ ცოტა 3-4 კვადრატული მეტრი საადგომი. მაგრამ ეს წესი სოფელ კოდის კოლმეურნეობაში დარღვეულია. კოლმეურნეობის საქონელი თავისი ნამატით უმთავრესად კერძო ბინებში ისე მჭიდროდ არის მოთავსებული, რომ სიცხისაგან ხშირად ბუღი დგას. მაგალითად, პირველ ბოსელში, რომლის ფართობიც 18 კვადრატული მეტრია, მოთავსებულია 21 ძროხა და 6 ხბო. მეორეში კი, რომელიც 23 მეტრამდე აღწევს, — 25 ძროხა და 4 ხბო. საქონლისათვის ხბოს მოსაგებად აღარ რჩება ცალკე ადგილი, არც ხბოებისათვის არის ცალკე ბინა. ფერხდება წველა, საკვების დაყრა, სისუფთავისა და ნორმალური ტემპერატურის დაცვა. ზაგეხი საქონელს თავთავისი უნდა ჰქონდეს ან ერთიანი დაყოფილი, მაგრამ აქ ასე როდია. ამიტომ საკვების საჭირო რაოდენობით მიცემა გაძნელებულია. ძლიერი სუსტს სჩაგრავს. საძროხეში ტემპერატურა 7-12 გრადუსამდე უნდა იყოს, ფაქტიურად 20-25 გრადუსამდეა და ზოგჯერ მეტიც. ამიტომ ხშირად აღენენ კარს, მაგრამ სამქმეს ეს არ შეეშლა. პირიქით, ამ ორონსძიებას შედეგად მოდევს კარზან ახლო მყოფი პირუტყვის წველადობის შემცირება და როგორც მოზრდილი საქონლის, ისე ხბოების დაავადება.

კოლმეურნეობის საპრძოლო ამოცანაა მიაღწიოს იმას, რომ როგორც მეწველი, ისე მაკე საქონლისა და ხბოებისათვის ცალცალკე მოეწყოს სათანადო მოცულობის სადგომები ყნ განყოფილებები, აუცილებელია ცალკე იყოს აგრეთვე სამშობიარო და საკვების მოსამზადებელი განყოფილებები, ინვენტარისა და რძის შესანახი ოთახი, მომსახურე პერსონალის ყამორიგეო და სხვ. შეუწყნარებელია, რომ თავადებული საქონლის მოსათავსებლად ფერმას ცალკე სადგომი არა აქვს. მთაშიც, სადაც ფერმის საქონელი გაზაფხულიდან წლის ოქტომბერს დროს ატარებს, ბინა არ არის. ამიტომ 21 დღის განმავლობაში, როცა ცოფი ამინრი იყო, ძროხები არ მოეწველინთ. ამით კოლმეურნეობამ 5 ტონაზე მეტი რძე დაკარგა.

ზრდის ორგანიზაციას მეტი ყურადღება

კოლმეურნეობა კარგად მოიქცა, რომ მეცხოველეობის ბრიგადა გამოჰყო 3 წლის ვადით. ფერმის გამგედ და ბრიგადირად შერჩეული და დანიშნული არიან ყველაზე უფრო აქტიური, ავტორიტეტიანი და მეცხოველეობის მცოდნე სტახანოველები ე. ბაბაშვილი და დ. ჯავახიშვილი. ბრიგადაში შედის 4 გამოცდილი მწველავი, 6 მწყემსი (მათ შორის ერთი მეხბორე) და ერთიც მეთრმე. ბრიგადაზე გაპიროვნებულია პროდუქტიული პირუტყვი, მომსახურებისათვის აუცილებელი ინვენტარი, გამწვევი ძალა და სამეცხოველო ნაგებობანი. მთელი საქონელი და ინვენტარი მიმაგრებულია ცალკეულ კოლმეურნეებზე. თვითეულ მწველავსა და მომვლელ ქალს ჩაბარებული ჰყავს 10-12 ძროხა. სამუშაოები ხორციელდება სანარდო სისტემის საფუძველზე. გამგეობის მიერ გამომუშავებული და საერთო კრების მიერ დამტკიცებული ნორმებით თვითეულს ეფერება სათანადო შრომადღეები, ბოსელში გაუპიროვნების მოსასპობად და სამუშაო დღის სრული დატვირთვის მიზნით თვითეულ კოლმეურნეს დაკისრებული აქვს ძროხების როგორც მოწველა, ისე კვება და მოვლა.

ნაკლია ის, რომ ფერმაში არა აქვთ შინაგანაწესი. ფერმის მუშაკები სათანადოდ არ იცნობენ საკუთარ საწარმოო გეგმას, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს ყველა ღონისძიება, რაც უზრუნველჰყოფს წლის განმავლობაში ფერმის მეურნეობის განვითარებას. წლიური საწარმოო ვალდებულებანი და თვიური გეგმა-განრიგი, რაც დამუშავებული ჩრიგალის საწარმოო თათბირზე და წინასწარ დამტკიცებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, გამოკრული არ არის ბრიგადაში, არც სხვა თვალსაჩინო ადგილზე, რომ თვითეულ კოლმეურნეს შეეძლოს დაეცნოს, თუ რა სამუშაო უნდა შეასრულოს თვის, წლის განმავლობაში, რამდენი პროდუქცია უნდა მიიღოს და ანა თუ იმ სამუშაოსთვის რამდენი შრომადღე დაეწერება.

ფერმაში აღრიცხვა მოუგვარებელია. მართალია, აღრიცხველად გამოყოფილ შ. ბაბაზოვს ყოველთვიურად 20 შრომადღე ეწერება, მაგრამ რატომღაც დავიწყებულა, რომ მას ეკალების, ინვენტარის და სხვ. აღრიცხვა, აღრიცხვის ადგილ დამოკიდებულია სამუშაოს ხასიათზე. მაგალითად, რძეზე და ტყიერის გადატან-გადმოტანაზე ლახარჯული შრომა ყოველთვიურად აღირიცხება. პირუტყვის ცოცხალი წონის მატების, აღრიცხვა კი თვეში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს. აღრიცხვის მოუგვარებლობის გამო სოფელ კოდის კოლმეურნეობაში ვერაფერ გეტყვით, თუ ზუსტად რამდენი რძე ბოგეცა წელს თვითეულმა ძროხამ, არ რამდენი კილოგრამი მოიმატა წონაში ამა თუ იმ მოზარდმა, გეტყვიან მხოლოდ, რომ ზოგმა ხბომ ალბათ მეტი რძე შეჭამა, რადგან მიშვებით ეკვებავთო, შემდეგ კი რაც დარჩა, გამოვწველეთ და პუნქტს ჩავაბარეთო. რაც შეეხება მოზარდეულის გაზრდას, გაოუმეგბას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სხვა მაჩვენებლების საგეგმო დაფალებათა შესრულების შემოწმებას — ეს საქმე მივიწყებულია: არ ხდება 6 თვემდე ასაკის ხბორების სისტემატური აწონვა, როგორც ბარში, ისე მთაში. ასევე არ შეემოწმებით 6 თვიდან 1 წლამდე ასაკის ხბორების წონის საშუალო სადღეღამისო მატება. შეუმოწმებელია აგრეთვე 1-დან 2 წლამდე ასაკის მოზარდეულის წონის საშუალო სადღეღამისო მატება, აგრეთვე მოზრდილი საქონლის გასუქება ბაგაზე ან იალაღზე მის პირველნდელ წონასთან შეფარდებით. აღრიცხვის ჩაშლის შედეგად განუხორციელებელია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ.

გავაუმჯობესოთ პირუტყვის ჯიშიანობა და მოვლა, განვაახორციელოთ ზოოტექნიკურ-ვეტერინარიის ღონისძიებანი

ფერმაში, მართალია, შესრულებულია ძროხების სულადობის ზრდის გეგმა, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა ჯიშიანობის გაუმჯობესებას. აქ ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი ძროხები, რომლებიც წელიწადში მხოლოდ 3-4 თვეს იწველიან და ცოტა რძეს გვაძლევენ. მაგალითად, იმ დროს, როცა შვიცის ჯიშის ბუღისა და ადგილობრივი უჯიშო ძროხის შეტრისმა „ნათელამ“ პირველი ხბოიანობის პერიოდში 11 თვეში 1.046 ლიტრი მოიწველა, ადგილობრივმა უჯიშო ძროხამ „გულფრამ“ ძხოლოდ 250 ლიტრი რძე მოგვცა, „ევეროსამ“ კი — 253 ლიტრი. ეთანარსად მეწველი ძროხებმ შერჩევისადმი ინასაკმაო ყურადღებას შედეგია, რომ ფერმაში ესარგებლენ იხარჯება ბევრი საკვები და შრომა, ცდება მუშახელი და ბინები, არ სრულდება წველადობის გეგმები წელს გეგმით თვითეულ ძროხას 950 ლიტრი რძე უნდა მოეცა).

მოუგვარებელია ძროხების დაგრილება. დეკემბერში მხოლოდ 2,5-3 წლის ასაკში გრილდებიან, კარგი მოვლით კი შეიძლებოდა ამ ოპერაციის 6 თვეზე ადრე ჩატარება. ეს ფერმის ეკონომიკურ ეფექტს ამცირებს

ამერიკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკოს დეკადის მონაწილე, სომხეთის სსრ ფილარმონიის ანსამბლის მოცეკვავეთა ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესია

19 და 20 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შესდგა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესია.

პირველ დღეს აესიის სხდომაზე, აკადემიკოს დ. უზნაძის შესავალი სიტყვის შემდეგ, აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ გააკეთა მოხსენება „ძველი ქართული ავანტიურული რომანი და მისი წინამორბედი აგიოგრაფიულ ლიტერატურაში". მომხსენებელმა სთქვა, რომ ავანტიურული რომანი ჩაისახა ელინისტური ბერძნოდის ლიტერატურაში და განმტკიცდა შუა საუკუნეებში. ელინისტური რომანის გაგრძელებაა „ქრისტიანული რომანი, რომელიც წარმოდგენილია აგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში. ქართული ავანტიურული რომანის ჩანასახი მოცემულია ორ ნათარგმნ თხზულებაში: „ცხოვრება მაკარი რომელისა ან სამთა ძმათა მიმოსვლა", და „მიმოსვლა ზოსიმესი". ხსენებული თხზულებანი შეიძლება ჩაითვალოს წინამორბედად ავანტიურული რომანისა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აგიოგრაფიულ მწერლობას, როგორც ზოგადად, აგრეთვე კერძოდ ქართული ლიტერატურის ისტორიაში აქვს ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა, რომ ფორმითაც და შინაარსითაც ის ამზადებდა ჩვენში ნიადაგს საერო მხატვრული ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარებისათვის.

კამათში აკადემიკოს კ. კეკელიძის მოხსენების გარშემო მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ალ. ბარამიძემ და ქ. შარაშიძემ.

მეორე მოხსენება „თემური მიწათმფლობელობა-მიწოთსარგებლობა და მისი დაშლა საქართველოში (1860-1920 წ. წ.)" გააკეთა პროფესორმა პ. გუგუშვილმა. მომხსენებელი შეეხო საქართველოში თემური მიწათმფლობელობის საკითხს, მოიყვანა ამ საკითხზე არსებული ლიტერატურიდან ილია ჭავჭავაძის, ა. არღუთინსკის, ს. ეგიაზაროვის, ნ. ველისციხელისა და სხვათა ნარკვევები, რომლებშიც უმთავრესად ცალკე თემებისა თუ რაიონების შესახებ აღწერილობითი მასალა არის გადმოცემული.

თემური მიწითსარგებლობის ფორმები დაცული იყო სახელმწიფო გლეხთა სოფლებში. ყველა ფორმაში 1880-იანი წლებიდან გაბატონებული იყო ფისკალური პოლიტიკით ნაკარნახევი თემის წევრ-კომლთა შორის მიწების ლატარა-ჩარეკვობის მიხედვით გადანაწილების პრინციპი. ქიზიყში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე დაცული დატაცებითი მიწოთსარგებლობა წარმოადგენდა თემური მიწოთსარგებლობის არქაულ ფორმას.

პროფესორ პ. გუგუშვილის მოხსენების გარშემო კამათში გამოვიდნენ აკადემიკოსები ა. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი მ. ჩიტაია, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ოსელიანი და სხვანი.

20 დეკემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა აკადემიკოსების ა. ჩიქობავას და გ. ჩუბინაშვილის მოხსენებანი.

აკადემიკოსი ა. ჩიქობავა თავის მოხსენებაში შეეხო ენის სპეციფიკის საკითხს.

— ენის სპეციფიკად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული ისეთი რამ, რაც ენის, როგორც ენათმეცნიერების საგნის, არსებით თვისებებში არ მეღავნება,— ამბობს მომხსენებელი, — კერძოდ, ენის სპეციფიკას ვერ განსაზღვრავს ფაქტი, რომ ენა არის აზროვნების იარაღი. ენობრივი ნიშნის ძირითადი ფუნქციაა (ენა, როგორც ურთიერთობის იარაღი). ექსპრესიული ფუნქცია (ენა-აზროვნების იარაღი) დაქვემდებარებული მომენტია საკომუნიკაციო ფუნქციის მიმართ.

ენა ნიშანთა სისტემაა, რომელთაც საკომუნიკაციო ფუნქცია აქვთ გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის, ენობრივი ნიშანი ფიზიკურია მასალის მიხედვით, სოციალურია დანიშნულებით, ზედნაშენურია ოსლანიშნის მიმართ.

ენობრივი ნიშანი ურთიერთობის საშუალებად არ გამოდგებოდა, რომ მასალობრივ ფიზიკური არ იყოს. მეორე მხრივ, ენა საბუნებისმეტყველო დისციპლინის საგანი აქნებოდა, რომ ეს ფიზიკური მონაცემი ნიშანი არ იყოს. ნიშანი (მაგალითად სიტყვა) იმდენადვე ენის კუთვნილება, რამდენადაც რაღაცაზე მიუთითებს. ენობრივ ნიშნს ინდივიდი წარმოქმნის მეტყველების პროცესში, მაგრამ ეს ნიშანი არაა ინდივიდუალური, იგი ენობრივი კოლექტივის კუთვნილებაა.

ენობრივი ნიშანი ფიზიკურია მასალობრივ და ამ მასალის განვითარებას საკუთარი კანონზომიერება განსაზღვრავს, არც ერთ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებაში მასალის განვითარებას მთლიანად ფაქტის განვითარებისათვის არა აქვს იგივე მნიშვნელობა, როგორიც აქვს ბგერითი მხარის ცვლილებას ენობრივი ნიშნის ისტორიისათვის. ამ მხრივ ნიშნის მასალისა და ნიშნის ფუნქციის ურთიერთობა ენაში სპეციფიკურია. ენობრივი ნიშნის ფუნქციას განსაზღვრავს არა მხოლოდ მიმართება აღსანიშნისადმი, არამედ მიმართება სხვა ნიშნებისადმი ამავე ენის სისტემაში; ენობრივ ნიშანს ღირებულება აქვს, ღირებულება ესაა ნიშნის ფუნქცია ნიშანთა სისტემაში.

დებულებებს ენის სპეციფიკის შესახებ ამტკიცებენ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მიერ გამოთქმული აზრები.

კამათში აკადემიკოს ა. ჩიქობავას მოხსენების გარშემო გამოვიდნენ აკადემიკოსები ვ. თოფურია, დ. უზნაძე, დოკენტი ბ. ფოჩხუა, რომლებმაც აღნიშნეს მოხსენების დიდი მეცნიერული მნიშვნელობა.

აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილის მოხსენება იძლევა არმაზში აღმოჩენილი პტოლემაიოსთა ნივთების დაწვრილებითს და საინტერესო დახასიათებას.

— არმაზის ნეკროპოლში აღმოჩენილი პტოლემაიოსთა ოქროსა და ვერცხლის ცალკეული ნივთები ავსებენ ქართული ხელოვნების განვითარებაა ერთ ეპოქას,—ამბობს მომხსენებელი,—ამ ნეკროპოლის ნივთებთან დაკავშირებულია სხვა სამარხების ნივთებიც.

ამ ნივთების შემადგენლობაში შეიძლება გავარკვიოთ ორი ძირითადი მხატვრული მიმართულება.

ვერცხლეული სუფრის ჭურჭლეულობა და სარეცლის ნაწილები რომაულ-ელინისტური გემოვნებისანი არიან. ოქროს სამკაულები გამოხატავს მკვიდრი მოსახლეობა ფართო წრეების მხატვრულ გემოვნებას. ამ მეორე კატეგორიის ნივთთა დამზადებაში თავს იჩენს ოქრომჭედლობის სხვადასხვანაირი ტექნიკა. მმართველი წრის წარმომადგენლთა გემოვნებას გამოავლენენ არა მარტო ანტიკური ხელოვნების ნივთები, არამედ მეორე კატეგორიის ნივთთა ცალკეული ელემენტებიც.

მოხსენებას თან ახლდა არმაზში აღმოჩენილი ნივთების ფოტოსურათების დემონსტრაცია.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი ს. ჯანაშია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი სტალინური პრემიის ლაურეატი პროფესორი ბ. კუფტინი და პროფესორი კ. კანანელი.

აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ თავის საბოლოო სიტყვაში შეაჯამა სესიის მუშაობა და აღნიშნა დაამუო საკითხების დიდი მეცნიერული მნიშვნელობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XVII სამეცნიერო სესიამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

პროფესორ ალექსანდრე ცაგარლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სხდომა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტები მართავენ სამეცნიერო სხდომას, მიძღვნილს პროფესორ ალექსანდრე ცაგარლისადმი. მოხსენებებს წაიკითხავენ: ვ. თოფურია „ალ. ცაგარლის ენათმეცნიერული მემკვიდრეობა" და თ. ჭყონია „ალ. ცაგარელი და ქართული ლიტერატურა". მოგონებით გამოვა აკადემიკოსი ა. შანიძე. სხდომა შესდგება სამშაბათს, 26 დეკემბერს, 1-ლ საათზე ენის ინსტიტუტში (ძერჟინსკის ქ. № 8). დასწრება თავისუფალია.

ი. გრიშაშვილის საღამო

27 დეკემბერს თბილისის მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს დოწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი მართავს პოეტ ი. გრიშაშვილის საიუბილეო საღამოს. მოხსენებას, ი. გრიშაშვილის პოეზიის შეაახებ გააკეთებს ნ. კანდელაკი. პოეტს მიეალმებიან მასწავლებელთა და მოსწავლეთა წარმომადგენლები. გრიშაშვილის ლექსებს წაიკითხავენ და იმღერებენ შესახობები. საკუთარ ლექსებს წაიკითხავს პოეტი ი. გრიშაშვილი.

შეიკრა მოსაწვევი ბარათებით. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

„აბაშის თეატრის პრემიერა

აბაშის სახელმწიფო თეატრმა ამ დღეებში მაყურებელს უჩვენა სეზონის პირველი პრემიერა გ. ერისთავის ისტორიული პიესა „ყვარყვარე ათაბაგი". პიესა დადგა რეჟისორმა ი. ქაჯაიამ, მხატვრულად გააფორმეს ბ. ლოქტინმა და დ. ჭოიავამ, მუსიკა ეკუთვნის ალ. მაჭავარიანს.

როლებს ასრულებდნენ გ. თოდუა, თ. დათუაშვილი, ვ. მელაძე, გ. რუხაძე, ვ. ბერია და სხვ.

საერთაშორისო მიმოხილვა

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, რომელიც ხელმოწერილ იქნა მოსკოვში ამა წლის 10 დეკემბერს, მსოფლიო პრესის ყურადღებისა ცენტრში იმყოფება. მსოფლიო დემოკრატიული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ამ ხელშეკრულების უდიდეს მნიშვნელობას, როგორც უშუალოდ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, ისე ომისშემდგომ მშვიდობიანობისა და უშიშროების ორგანიზების საქმეში. მართლაც, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება წარმოადგენს ესსაუტიკეს დარტყმას ფაშისტურ გერმანიაზე— ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საერთო მტერზე.

ჰიტლერული გერმანია განწირულია. მისი დამარცხება გარდუვალია. ამას თვით ჰიტლერული მმართველებიც გრძნობენ. სწორედ ამიტომ ისინი ცდილობენ რადაც არ უნდა დაუჯდეთ გაჭიანურონ ომი, გადასდინ თავისი საბოლოო დამარცხების ჟამი. ისინი ცდილობენ ახლავე ყოველი ღონე იხმარონ იმისათვის, რომ ახალი მსოფლიო ომი მოამზადონ, თავის დამარცხებისათვის რევანში აიღონ.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელშეკრულება, ითვალისწინებს რა სსრ კავშირისა და საფრანგეთის საერთო სამხედრო ღონისძიებებს მტერზე საბოლოო გამარჯვების მიზნით, აამაახურა გაუწევს დიდ მოკავშირე სახელმწიფოთა და ყველა გაერთიანებულ ერთა სამხედრო ღონისძიებების უკეთეს კოორდინაციას. ამით იგი ხელს შეუწყობს ჰიტლერული გერმანიის განადგურების დაჩქარებას, გერმანიის აღწინაღმდეგო კოალიციის ფრონტის გამტკიცებას. ამასთანავე საბჭოთა კავშირი-საფრანგეთის ხელშეკრულება მტკიცე საფუძველს უყრის ორ დიდ სახელმწიფოთა თანამშრომლობას ომისშემდგომ პერიოდში გერმანიის მხრივ ახალი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით. აი რატომ შეხვდა გერმანულ-ფაშისტური პრესა ხელშეკრულების დადების ამბავს ასეთი გაბოროტებული ღმუილით. ფაშისტ ავაზაკებს ესმით, რას მოასწავებს ეს. ისინი დორბლმორეულნი ყვირიან, რომ ხელშეკრულება—„მოსკოვის ნამოქმედარია".

ჩვენ ამ ვინ არ იცის ახლა, რომ სწორედ მოსკოვმა გაანადგურა გერმანელები საბჭოთა მიწაზე.

ამჟამად მთელი პროგრესული კაცობრიობა აღიარებს, რომ ჰიტლერიზმზე გამარჯვება ლაპარაკი მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის მოწყობაზე, შეუძლებელია მოსკოვის გარეშე. მოსკოვის შესახებ ღრიალით გერმანელები ვერავის შეაშინებენ. ეს დრო ახლა წასულია.

საფრანგეთი ამ ომში ძალიან დაზარალდა. მისი მიწა ფაშისტური ჩექმითაა გათელილი. მისი თავისუფლებანი ჰიტლერელმა დაჩეხა. ფრანგი ხალხი მისმა მმართველებმა გაცვეს არა მარტო 1940 წლის ივნისში, როდესაც კომპიენის სამარცხვინო დროებითი ზავი დაიდო ჰიტლერთან. იგი გასცეს უფრო ადრე, როდესაც მიუნხენის ჰოლიტიკამ ხაზი გადაუსვა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის 1935 წლის ხელშეკრულებას. აწორედ ამ პოლიტიკურმა კურსმა აღაფრთოვანა მაშინ ჰიტლერელი ბანდიტები საყაჩაღოდ.

მიუნხენი იყო საშინელი, საბედისწერო რეციდივი ამ შეცდომისა, რომელიც ჩაიდინეს ვერსალში, სადაც ომისშემდგომი მოწესრიგების საკითხები საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე უნდიდათ გადაეწყვიტათ. ეს ჰოლიტიკა, რომელიც მიუნხენში აღორძინდა, დამოუკიდელი აღმოჩნდა მთელი ევროპისათვის, რადგან იგი მიზნად ისახავდა აგრესორისა „დამშვიდებას", მისი აღმოაავლეთელი მეზობლების ხარჯზე.

ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ საერთო ბრძოლამ გამოიწვია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის აღდგენა. ეს თანამშრომლობა წლითიწლობით ვითარდებოდა ომიანობის მკაცრ დროში. იგი დაიწყო ომ მომენტში, როდესაც საბჭოთა კავშირი ჩაება უმაგალითო ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ, როდესაც საფრანგეთი ფაშისტ დამპყრობლებს მიერ მთლიანად იყო ოკუპირებული. ეს თანამშრომლობა გაფართოდა, როცა საბჭოთა ხალხის გმირული წინააღმდეგობისა და წითელ არმიის ისტორიულ გამარჯვებათა შედეგად საფრანგეთის წინაშე დაიასა ჰიტლერული ჩაგვრისაგან განთავისუფლების პერსპექტივა. იგი კიდევ უფრო განმტკიცდა, როდესაც თეირანის თათბირის შემდეგ წითელმა არმიამ გამანადგურებელი დარტყმები მიაყენა გერმანელ ფაშისტთა ჯარებს და დაადგა ელეთში მეორე ფრონტი გაიხსნა. ამჟამად ახალ ეთვარებაში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობა იღებს ახალ ფორმებს, რომლებიც შეცვლილ მდგომარეობას შეესაბამებიან. საფრანგეთის საზოგადოებრიობა ტაუტოლად როდი აფასებს ახალ ხელშეკრულებას, როგორც საფრანგეთის სწრაფი აღორძინების დადასტურებას.

საბჭოთა ხალხი მიესალმება საფრანგეთთან მოკავშირეობის ხელშეკრულებას, როგორც სტალინური ბრძნული პოლიტიკის ახალ ბრწყინვალე გამოვლინებას, რომელიც მიმართულია მეგობრული კავშირის განმტკიცებისაკენ სსრ კავშირის და სხვა თავისუფლებისმოყვარე ქვეყნებს შორის ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვებისათვის, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობიანობის მოწყობისათვის.

• • •

გერმანულ-ფაშისტური პრესა ამჟამად ძალიან უხალისოდა სწერს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ის ჭკვიდი რამ, რაც პრესაში ჩნდება, გერმანელთა სერიოზულ შიშს მოწმობს. ჰიტლერელები შიშობენ არა მარტო უნგრეთისათვის, არამედ ავსტრიისათვისაც, რომელსაც თავდ დაატრიალებს საბჭოთა ჯარების შეჭრის რეალური საფრთხე. დიდი ხანი არ არის, რაც გერმანელები იკვეხნიდნენ, რომ მათ „ცეცხლის ხაზიდან გამოიყვანეს" და ავსტრიაში გადაიტანეს ომთავრული სამხედრო აპარატი! ახლა ისინი ამის შესახებ სდუმან. ჰიტლერული პრესა სწორედ იმიტომ სწერს ასე უხალისოდ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ უბანზე არსებულ მდგომარეობის შესახებ, რომ წითელი არმიის შეტევა ნიშნავს სამინელ დარტყმას გერმანიის სამხედრო მრეწველობის უმნიშვნელოვანეს ცენტრებზე. ამავე დროს ცნობილია, რომ ამჟამად გერმანიის მრეწველობას არ ძალუძს დაეწიოს მოკავშირე ქვეყნებია მრეწველობას.

მაგრამ თუ გერმანულ-ფაშისტური პრესა ჩქმალავს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის სამხრეთ უბანზე არსებულ მდგომარეობას, სამაგიეროდ იგი ბევრს ხმაურობს დასავლეთში „რუნდშტედტის შეტევის" შესახებ. გერმანელებმა მართლაც დაიწყეს კონტრშეტევა ფრონტის ცალკეულ უბნებზე, კერძოდ ბალმედის რაიონში სამხრეთ ბელგიაში და ჩრდილოეთ ლუქსემბურგზე ბასტონის მიმართულებით. გერმანელთა ჯარებმა თავი მოუყარეს ბრძნშვნელოვან ძალებს ფრონტის კეწრო უბანზე და ამერიკელთა 1-ლი არმიის განლაგებაში შეიჭრნენ.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, გერმანელებმა მაინც ვერ მიაღწიეს მნიშვნელოვან წარმატებებს. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდ მათ ხმაურობენ „უმაგალითო" და „არნახული" მიღწევებზე, თუმცა ზუსტ ცნობებს ამის შესახებ, თუ რა ხდება ფრონტზე, გერმანელები არ აძლევიან.

ცხადია, რომ ახლო მომავალი საკვანძო გამარკვევას ვითარებას. მაგრამ ახლავე სჩანს ის მიზნები, რომლებითაც ნაკარნახევია გერმანელთა კონტრშეტევა. ეფდავთ, რომ ჰიტლერელების მთავარი ამოცანაა ჩაშალონ მოკავშირეთა შეტევა. მეორე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობას აცნობონ თუნდაც ნაწილობრივ წარმატებათა შესახებ და ამით თავიანთი ქვეყანა „გაამხნიონ". გერმანელები მთელი ძალებითა და საშუალებებით ცდილობენ ომი გააჭიანურონ, თავისი დამარცხების ეტაპი გადასდონ. მაგრამ ეს უიმედო საქმეა.

ჰიტლერული სარდლობის დაძაბული ცდები მიაღწიონ თუნდაც დროებით, და ნაწილობრივ წარმატებებს, ვერავის ვერ გააკვირვებს. ომის ახლანდელ დამთავრებელ და ამიტომ განსაკუთრებით ძნელ პერიოდში, საჭიროა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მხედველობაში მივიღოთ გერმანელი ფაშისტი ავაზაკების თავგანწირული წინააღმდეგობის აუცილებლობა. გერმანელების კონტრშეტევა არის სიგნალი იმისა, რომ გაერთიანებულმა ერებმა მთელი ძალ-ონენ უნდა დაძაბონ მტრის გადამწყვეტი დარტყმებისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი ჰოკავშირეები თავს გაართმევენ მდგომარეობას, და მაშინ „რუნდშტადტის შეტევა" როგორც რეიტერის საგენტოს საბჭოური მიმოხილველი სწერს, მხოლოდ დაიჩქარებს ომის ლამთავრებას.

• • •

პოლონეთის განთავისუფლებული ტერიტორია ყველა კუთხიდან ომის ცნობები მიწის რეფორმის დამთავრების შესახებ, რომელიც პოლონეთის გლეხთა საოკუნობრივი მისწრაფებანი განახორციელა. მტკიცდება ახალი დემოკრატიული, დამოუკიდელი პოლონეთი, პოლონეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ირგვლივ დარაზმული. იგი ემზადება მომავალი ბრძოლებისათვის პოლონეთის მიწა-წყლის, სავსებით განთავისუფლებლად. იგი მისწრაფვის პოლონეთის სახელმწიფოში გაერთიანოს, ყველა ძველთაძველი პოლონური მიწები. ახალგაზრდა ჭრელეფარე ცხოვრება უკვე ჩაიდება პოლონეთის განთავისუფლებულ ნაწილში.

პოლონელი ხალხი დიდ აღფოთოვანებას გამოიცდის. აი რატომ მოსჩანს განსაკუთრებით სასაცილოდ და უბადრუკად პოლონეთის იმ ახალი ემიგრანტული „მთავრობის მოთავეობა", რომელსაც არცშევსკი მეთაურობს, და რომელიც ამჟამ წინათ შესდგა ლონდონში. ბატონი არციშევსკი გამოვიდა განცხადებით, რომელიც ჰიტლერელებს უდავოდ ესიამოვნათ. არციშევსკიმ იმის რწმენებით დაიწყო, რომ მას არ სურს ის მიწები, რომლებიც ერთ დროს გერმანელებმა პოლონეთს წაართვეს. სამაგიეროდ მან მტკიცედ აგრძნობინა, რომ თავს არ დაანებებს იმ დამპყრობლურ გეგმებს, რომელთა განხორციელებასაც ერთ დროს პილსუდსკი ქადაგებდა და ცდილობდა.

ამ „პრემიერ-მინისტრის" თავხედობას კანონიერი აღშფოთება შეეძლო გამოეწვია, რომ იგი ესოდენ სასაცილო არ იყოს თავისი ჯარით. „არციშევსკის მთავრობამ — სწერს ინგლისის გაზეთი „ობსერვერი" — გადასწყვიტა ყურადღება არარ მიაქციოს მოკავშირეთა კრიტიკას და ახლანდელი პოზიცია დაიცვა". პოლონელმა ხალხმა თავის მხრივ უკვე დიდი ხანია გადასწყვიტა არავითარი ყურადღება არ მიაქციოს არციშევსკისა და სხვა დახასიათებულ რეაქციონულ ემიგრანტებს, რომლებიც მოვლენებმა ისტორიის ასპარეზიდან განდევნეს.

ი. ვიქტოროვი

სამილიციო განყოფილებების კედლის გაზეთის რედაქტორებისა და მილიციელ კორესპონდენტთა რესპუბლიკური შეკრება

საგაზეთო ცოდნის დონის ამაღლების მიზნით საქართველოს სსრ შინსახკომის მილიციის სამმართველომ გაზეთ „საბჭოთა მილიციელის" რედაქციასთან ერთად თბილისში მოაწყო სამილიციო დანაყოფების კედლის გაზეთების რედაქტორებისა და მილიციელ კორესპონდენტთა ამმდღიანი რესპუბლიკური შეკრება. შეკრების პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის ამხ. გ. ჯიბლაძის მოხსენება თემაზე: „ამხანაგ სტალინის მოხსენება და ძირეული პრესის ამოცანები".

ამხ. ჯიბლაძის მოხსენების გამო აიტყვეთით გამოვიდნენ ამხანაგები გიჩეჩილაძე (ქუთაისი), ბანიაშვილი (გურჯაანი), ჭილაია (ცხაკაია), გოროზია (ლანჩხუთი), ეზიაშვილი (ბათუმი), ტუღუშჯიანი (ზუგდიდი), ბრეგვაძე (ორჯონიკიძე), ტორაძე (ქუთაისი), სალდაძე (სამტრედია), ბოლქვაძე (ზუგდიდი), ნურიევი (ახალციხე), მეკოკიშვილი (საგარეჯო), გაბარაევი (ბატალინური), დოღონაძე (მაიაკოვსკი), გეგეშიძე (თბილისის მილიციის მე-16 განყოფილება), კუტალაძე (მილიციის სამმართველო) და სხვ.

შეკრებამ მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მ.ოადგილის, მილიციის მესამე რანგის კომისრის ამხ. კ. ნაკუეგანის მოხსენება საკითხზე: მილიციის ორგანოების მორიგი ამოცანები და სამილიციო კედლის გაზეთების როლი მათი შეასრულებისათვის ბრძოლაში.

ამხ. ნაკუეგანის მოხსენების გარშემო კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ხობელიამ, ქიზიკურაშვილმა, ბასილაძემ, ჯალაღანიამ, ჯიბაძემ და სხვ.

მოსმენილ მოხსენებათა გარშემო მიღებულ იქნა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებები.

შეკრების მონაწილეთათვის მოეწყო ლექცია-საუბრები სამსახურებრივ-ოპერატიული მუშაობის პოლიტიკურად უზრუნველყოფის, კედლის გაზეთების მოუმაობის, წერის ტექნიკის, მხატვრული ლიტერატურის გამოყენებისა და სხვა საკითხებზე.

შეკრებაზე მონაწილეთათვის წაკითხულ იქნა ანგრეთვე ლექცია სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

შეკრებასთან დაკავშირებით მილიციის სამმართველოს ცენტრალურ კლუბში მოეწყო კედლის გაზეთების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 50-მდე კედლის გაზეთი.

შეკრების მონაწილეებმა დაათვალიერეს გაზეთ „კომუნისტის" სტამბის საამქროები.

ეროვნული დეპეშები ინფორმაციიდან

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია:

მონტგომერი სექტორში მოკავშირეთა ჯარები კვლავ ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს. ამ სექტორში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. ჰოფენის ახლოს მოწინააღმდეგემ შესძლო რამდენადმე წინ წამოწეულიყო. სტავლოს რაიონში მოწინააღმდეგეს არ უწარმოებია ახალი ცდები ფრონტის გასარღვევად. გერმანელთა მოძალება ფრონტის ჩრდილოეთ ნაწილში განისაზღვრა სენ-ვიტის, სტავლოს და მალმედის რაიონებით. სამივე ქალაქი მოკავშირეთა ხელშია. მოწინააღმდეგის ჯარების კოლონამ, რომელმაც ბასტონს ჩრდილოეთი ფლანგიდან შემოუარა, ლარუშს მიაღწია. ამ სექტორში ბრძოლები გრძელდება. მოწინააღმდეგემ ფართო ოპერაციები დაიწყო ვილც-ბასტონის რაიონში. ვილეი გარშემორტყმულია, და მოწინააღმდეგე ქუჩებში ეწევა ბრძოლებს. გერმანელთა ტანკები წინსვლას განაგრძობენ, რათა გადასჭრან გზები ბასტონის ჩრდილოეთით, სამხრეთითა და აღმოსავლეთით. მტრის ჯარების ზოგიერთმა რაზმმა ბასტონს შემოუარა და განაგრძობს წინსვლას დასავლეთისაკენ.

ეხტერნახის რაიონში მდგომარეობა სტაბილიზებულია. მტრის წინსვლა შეჩერებულია დიკვაილერის, ოსვაილერისა და ბერდორფის რაიონში ეხტერნახი დასავლეთით და სამხრეთით, საარგემუნდის აღმოსავლეთით მდებარე სექტორში მოკავშირეებმა ეტვაილერი დაიკავეს.

არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები აფერხებდნენ ავიაციის მოქმედებას.

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში, ბანიაკავალოს ჩრდილო-დასავლეთით მტერი გაადგილებულ წინააღმდეგობას ეწევა ფაენცის ჩრდილოეთით მე-8 არმიის ნაწილები კვლავ შეეპოვრად მიიწევენ წინ მდინარე ლამონესა და სენიოს შუა. მე-5 არმიის ამერიკელთა ნაწილები ადგილობრივ წარმატებას ავითარებდნენ რვანახევარ მილზე ბოლონიის სამხრეთით. ფრონტის დანარჩენ უბნებზე აქტიურად მოქმედებდნენ პატრულები.

მოკავშირეთა ავიაციამ იერიში მიიტანა მოწინააღმდეგის სამხედრო ობიექტებზე ჩრდილოეთ იტალიაში, დაბომბა მოტორანსპორტი იუგოსლავიაში.

მდგომარეობა საბერძნეთში

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო ათენიდან იუწყება, 22 დეკემბერს საღამოს ელასის (ნაციონალური განმათავისუფლებელი ფრონტის სამხედრო ორგანიზაცია) ლიდერებმა გენერალ სკობის გადასცეს მისი მოთხოვნების პასუხი.

პასუხის ტექსტი დღემდე არ არის ოფიციალურად გამოქვეყნებული. მაგრამ ფიქრობენ, რომ იგი შეიცავს შემდეგს ოთხ პუნქტს: ელასი თანახმაა თავისი ჯარები გაიყვანოს ატიკიდან; იღებს გენერალ სკობის მოთხოვნას ათენისა და პირეის რაიონში ელასის მომხრეთა განიარაღების შესახებ; ელასი მოითხოვს, რომ ეს განიარაღება მოხდეს ინგლისა-საბერძნეთის გაერთიანებული კომისიის კონტროლით; ელასი მოითხოვს აგრეთვე ნაციონალური ერთიანობის ახალი მთავრობის შექმნას.

ფიქრობენ, ნათქვამია რეიტერის საგენტოს ცნობაში, რომ ელასის პასუხი დაგვიანდა იმასთან დაკავშირებით, რომ ელასის შტაბი გენერალ სკობის მიერ წარდგენილი პირველი პირობის შესაბამისად უკვე გადაყვანილია ათენის ფარგლებს გარეთ.

მდგომარეობა ინგლისში

ლონდონი, 23 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისის ტერიტორიაზე ბოლო ორი დღეა ფიქრობენ, ამბობს „ეკონომისტი", ბევრ ადგილზე ბოლო ომის ნაგავი ბომბებისა, ტორპედოებისა, ნაღმებისა, ბომბებისა, ტანკებისა, ავიაციისა, ბრძოლა ბრძოლა ... ეს ... ეს ... ეს